პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | შაბათი, 17 იანვარი 1925 წ. | წელიწადი მეხუთე | ფასი 3 კაპ.

# ფიონერი ყამიდი

Т... Библиотека ...

№ 12 (700) 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელს. 2—2

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 სათამდე

## სამნეო კომისიების მუშაობის შესახებ.

ერთ ერთ ჩვენ მთავარ ამო...ანას შეადგენს სათანადო დო...ზე დავაყენოთ ნაწილის მე...რნეობა. თუ ეს დარგი კარ...ად არის მოგვარებული, მა...ინ ნაწილის სხვა მუშაობაც ...იდათ წაიწევს წინ.

...ამიტომაც სამნეო დარგის გა...უმჯობესებაში დაინტერესებუ...ი უნდა იყოს არა მარტო მნე, ...რამედ ყველა მეთაური, მთე...ი პოლიტ-შემადგენლობა და ...თელ-არმიელებიც. თითეულ ...თგანი ყოველ მხრივ ხელს ...ნდა უწყობდეს ამ საქმის თა...ის სიმაღლეზე დაყენებას.

...უმთავრესად კი დიდი რო...ი უნდა ითამაშოს ამ მხრივ ...აწილების სამნეო კომისიებ...ა.

...მათი ენერგიისაგან, მუყაი...ობისაგან და ინიციატივისა...ან (თაოსნობა) დიდათ არის ...ამოკიდებული ამ საქმის ...არმატება.

მაგრამ საუბედუროთ ხში...რად ჩვენი სამნეო კომისიები ...ძლიერ სუსტად მუშაობენ, ...ერ იჩენენ საკმაო უნარს და, ...ასაკვირველია, მათი არსებო...ბა არავითარი ნაყოფი არ მო...აქვს. მეტ ნაწილად აიხსნება ...ს გარემოება მათ მიერ თავის ...დანიშნულების და მიზანის ...უცოდინარობით.

...კომისიების დანიშნულებას კი ...შეადგენს, არამც თუ თვალ...ყური ადევნონ სამნეო მუშა...კების მუშაობას, არამედ თა...ვის გარშემო შემოიკრიბონ ყვე...ლა დაინტერესებული ამხანა...გები და გამოიყენონ ყველა მათი დარიგება-რჩევანი და სხვა და სხვა გვარის მოსაზრებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ სამეურნეო დარგის გაუმჯობესებას. ამიტომ ყველა ასეთ დარიგებებს და რჩევას უნდა იხილავდენ სამნეო კომისიები და იყენებდენ მათ სათანადო პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმით.

აქედან ცხადია თუ რა დიდი განსხვავება არის მუშათა და გლეხთა ინსპექციის დამხმარე ჯგუფებს და ცხლანდელ სამნეო კომისიებს შორის.

მ. გ. ი. დამხმარე ჯგუფი ანხორციელებდა მხოლოდ კონტროლს და ზედამხედველობას. სამეურნეო კომისია კი თავის გარშემო იკრებს მთელ ნაწილს და საერთო ძალღონით აუმჯობესებს ნაწილის მეურნეობას. ასეთია ის დიდი მოვალეობა, რომელიც ვალად აწევს სამეურნეო კომისიებს.

ამიტომ მათ მუშაობას უნდა მიექცეს მეტის მეტად დიდი ყურადღება, განსაკუთრებით ნაწილების პარტორგანიზაციების მიერ, რომლებმაც უნდა გაუწიონ მათ სათანადო ხელმძღვანელობა.

მეტად საჭიროა აგრეთვე ხშირად შუქდებოდეს სამნეო კომისიების მუშაობა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

ეს კი ჩვენი სამხკორების მოვალეობას შეადგენს.

მეტი ყურადღება სამნეო კომისიების მუშაობას!

## საბჭოთა კავშირის ცნობა ახლოვდება.

ხერსტის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება ვაშინგტონიდან, რომ ბორას პოზიციამ საბჭოთა კავშირის საკითხში დიდი როლი ითამაშა იუზის გადადგომაში, რაიც მომასწავებელია იმის, რომ საბჭოთა კავშირის ცნობა ახლოვდება.

## საბჭოთა კავშირის ცნობის წინ. სენატორ ლედდის აზრი.

რესპუბლიკანურ პარტიის პროგრესიულმა წევრმა სენატორ ლედდმა, რომელმაც ინახულა საბჭოთა კავშირი 1923 წელს, როსტას კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

„მე ვფიქრობ, რომ ამერიკა უახლოვდება რუსეთის საკითხის გადაჭრას. ცნობისთვის დღეს უფრო უმჯობესი პირობებია, ვინემ წინად, თუმცა თავისი დაგვიანებით ამერიკამ დაჰკარგა უკვე კომერციული უპირატესობა“.

## თანდათან ურიგდებიან ცნობის აზრს.

ამერიკის რეაქციონური გაზეთები თანდათან ურიგდებიან საბჭოთა კავშირის ცნობას, მხოლოდ დაჟინებით ამბობენ, რომ კულიჯი არ შესცვლის იუზის პოლიტიკას, არამედ „განავითარებს მას.“

ნიუ—იორკის გაზეთი „ტრიბიუნი“ აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის ცნობას შეიძლება, „შეხედო დღეს კაცმა იმედიანად“ მაგრამ მოითხოვს, რომ საბჭოთა კავშირმა უნდა ალასრულოს იუზის მიერ წარდგენილი წინასწარი პირობები.

## გომპერსის მემკვიდრეები სცდილობენ ხელი შეუშალონ საბჭოთა კავშირის ცნობას.

ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარე—გრინი სდუმს საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ. მაგრამ მისმა მოადგილემ ვულმა, ფედერაციის ხელმძღვანელ წრეების სახე...

## ინგლისის პროლეტარიატი დგება რევოლიუციონური ბრძოლის გზაზე.

ყოველ დღე რადიოს მოაქვს ...ახალი ცნობები იმის შესახებ ...თუ როგორ იზრდება კლასობრივი თვითშეგნება ინგლისის მუშებში. წინად ინგლისის მუშათა კლასი ამ მხრივ დიდათ ჩამორჩებოდა სხვა ქვეყნის პროლეტარიატს. არსად არ იყო ისე ძლიერი სოციალ-შოვინისტების გავლენა მუშათა მასებზე, როგორც ინგლისში. ეს აიხსნება იმით, რომ ინგლისის კაპიტალი უსაზღვროთ სძარცვავდა თავის ახალშენებს და ნადავლიდან ცოტას მუშათა არისტოკრატიას (ე. ი. ხელმძღვანელებს) აძლევდა. ეს უკანასკნელები კი მონა-მორჩილი იყვნენ და სცდილობდენ ...აცილებიათ მუშები რევოლიუციონურ გზას და გაეხადათ ინგლისის იმპერიალიზმის საწველ ფურად. ასე იყო წინად. მაგრამ სულ სხვა ნაირად დატრიალდა საქმე ამ ჟამად. ინგლისის იმპერიალიზმს დღეს ბევრი შემოსავალი შემოაკლდა. ომმა საგრძნობლად შეასუსტა მისი სიმდიდრეების ზრდა. ამიტომ ის სცდილობს ყოველივე ეს დანაკლისი აინაზღაუროს მუშათა კლასის ხარჯზე, ე. ი. უფრო მეტად გაყვლიფოს პროლეტარიატი.

ამ მიზნით ინგლისის დღევანდელი რეაქციონური მთავრობა ხელს უწყობს ბურჟუა-კაპიტალისტებს გაადიდონ სამუშაო დღე და შეამცირონ სამუშაო ხელფასი. მაგრამ საბედნიეროთ არც მუშათა კლასს სძინავს.

იმპერიალისტებს ეგონათ, რომ ინგლისის მუშათა კლასი არაფერს არ იტყვის და ძველებურად დაუჯერებს თავის გამცემ ხელმძღვანელებსო, როგორც მაკდონალდი, შოუ, კლაინსი და სხვებია. მაგრამ მწარე სინამდვილემ აუხილა თვალი ინგლისის პროლეტარიატს. მათ საკმაოდ დიდი გაჭირვება გადიტანეს ომის დროს და მის შემდეგ.

არც ეხლა არიან კარგ პირობებში.

ისინი დიდ იმედებს ამყარებდენ „მუშათა მთავრობაზე“, მაგრამ არც ამან უშველა.

და ინგლისის მუშებში თან და თან ფეხს იკიდებს რწმენა, რომ უმწეო მდგომარეობიდან თავის დახწევა შეიძლება მხოლოდ მტკიცე ბრძოლით კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ.

ამჟამად ინგლისში დიდათ გაიზარდა ეგრედ წოდებული „უმცირესობათა მიმდინარეობა“, რომელიც მომხრეა მუშათა მთლიანი ფრონტის შექმნისა რევოლიუციონური ბრძოლის ბურჟუაზიის თავდასხმის წინააღმდეგ. თუ რამდენათ მძლავრად მოიკიდა ფეხი ამ მიმდინარეობამ, ამას მოწმობს სამთომადნო მუშების მომავალი გაფიცვა. მათ მაგალითს მიბაძავენ სხვებიც, როგორც რკინიგზის მუშა-მოსამსახურენი, ფოსტის მოხელენი და სხვა.

ამნაირად მუშათა კლასის გამოფხიზლება ინგლისში დღითი დღე იზრდება და ფართე ხასიათს ღებულობს. და თუ ეს ხდება ისეთ ქვეყანაში როგორც ინგლისია, ცხადია სხვა ქვეყნებშიც პროლეტარიატის გამარჯვებაც მხოლოდ და მხოლოდ რევოლიუციის გზით შეიძლება.

ინგლისის პროლეტარიატის გაბედული ბრძოლა თავისი კლასობრივი მტრის წინააღმდეგ საუკეთესო მტკიცებაა იმის, რომ კაპიტალიზმის ბატონობის აღსასრული არც ისე შორს არის.

—ე.

## ლიუტერის კაბინეტის შემადგენლობა დაახლოებით.

გერმანიის მთავრობის კაბინეტის შემადგენლობა დაახლოებით ასეთია:

საგარეო საქმეთა მინისტრი—შტრეზემანი, შინაგან საქმეთა მინისტრი—ნაციონალისტი შილე, შრომის მინისტრი—ცენტრის პარტიის წევრი ბრაუნი; სამხედრო მინისტრად რჩება დემოკრატი გესლერი.



გერმანიის ახალი რეიხს-კანცლერი (მთავრობის თავმჯდომარე) ლიუტერი.

## ლიუტერი გერმანიის რეიხსკანცლერია.

ვოლფის სააგენტოს ცნობით ლიუტერი დანიშნულ იქნა გერმანიის რეიხსკანცლერად.

## სამხედრო მანევრები ინდოეთში.

დელიში (ინდოეთში) დაიწყო სამხედრო მანევრები.

მანევრებს დაესწრენ ინგლისის ჯარების მთავარ-სარდალი ლორდ რაულინსონი და ავღანიის არმიის წარმომადგენლები.

ლით გამოაქვეყნა განცხადება ცნობის წინააღმდეგ, რომელშიაც გამოსთქვამს იმედს, რომ კულიჯი არ შესცვლის თავის ძველ პოლიტიკასო.

განცხადება შეიცავს კომუნისტების საწინააღმდეგო გამოსვლებს, რის მიზანიც არის გავლენა მოახდინოს კულიჯზე და უარი ათქმევინოს ცნობაზე.

## ამერიკის „ჩარევა“ სხვის საქმეში დაკანონებულია.

ამერიკის დიპლომატიური წრეები ხედავენ პარიზის სარეპარაციო შეთანხმებაში იმის საბუთს, რომ ამერიკა ჩაება ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში. დემოკრატიული გაზეთი „ნიუ-იორკ უორლდი“ აცხადებს, რომ რესპუბლიკელებმა საბოლოოდ უარყვეს ევროპის საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკა.

ასევე ამბობს რესპუბლიკანური პრესაც და ამტკიცებს-ვითომც, რომ ეს არის ლოღიკური განვითარება ამერიკის მთავრობის ძველი პოლიტიკისო.

## ამერიკის ნავთის სამრეწველოები. სერებროვსკის მოხსენება.

საქმიან კლუბში სერებროვსკიმ გააკეთა მოხსენება ნავთის სამრეწველოების შესახებ ამერიკაში.

სერებროვსკიმ შეადარა ერთმანეთს საბჭოთა კავშირისა და ამერიკული გადახრის სისტემები და აღნიშნა ამერიკული სისტემების უპირატესობა.

შემდეგ გაიმართა გაცხოველებული საუბარი მოხსენებაში წამოჭრილ საკითხების გარშემო.

## პოლონეთ-დანციგის კონფლიქტი.

გამწვავდა მდგომარეობა პოლონეთსა და დანციგს შორის. პოლონეთის პრემიერის მოადგილემ ტუგუტმა განაცხადა, რომ მთავრობას სურს აიშოროს შეიარაღებული გამოსვლები, მაგრამ თუ რომ დაიღვრება პოლენეთის სისხლის ერთი წვეთიც, პოლონეთის მთავრობა მზად იქნება ყოველგვარ ნაბიჯისთვის.

## ბალტიის სახელმწიფ. კონფერენცია

15 იანვარს გელსინგფორსში ჩავიდა პოლონეთის, ლატვიის და ესტონეთის სამხედრო მინისტრები.

კონფერენციის გახსნა დანიშნული იყო 16 იანვრისთვის.

# საიდუმლო დიპლომატია ამუშავდა.

მუშათა პარტიის გაზეთი „დეილი გერალდი“ ეხება ფინანსთა მინისტრების კონფერენციას, აღნიშნავს საფრანგეთთან დათმობებს და გამოჰყავს დასკვნა: „საიდუმლო დიპლომატია კვლავ ამუშავდა; ჩემბერლენისა და ჩერჩილის მოგზაურობის დროს დადებულია რაღაც საიდუმლო შეთანხმება“. გაზეთის აზრით ეს შეთანხმება ეხება აღმოსავლეთს და საბჭოთა კავშირს და მისი შინაარსი საიდუმლოდ ინახება საზოგადოებრივი აზრისაგან.

# ტროცკის უკანასკნელი გამოსვლის შესახებ.

შესდგა საფრანგეთის ჩრდილოეთ დეპარტამენტის კომუნისტური ორგანიზაციის ყრილობა.

ტროცკის უკანასკნელ გამოსვლის შესახებ მოხსენება გააკეთა საფრანგეთის კომპარტიის ცეკას მდივანმა სემორმა; დაახასიათა ტროცკიზმი, როგორც წვრილ ბურჟუაზიული მოვლენა, რაც ახასიათებს სოციალ-დემოკრატიას.

# თანაგრძნობით შეხვდენ.

საფრანგეთის ყველა გაზეთები თანაგრძნობით განმარტავენ ცნობას საფრანგეთის ელჩის-ერბეტტის მიერ რწმუნებულების ბარათის გადაცემის შესახებ კალინინზე.

# კრასინის გამომგზავრება მოსკოვში.

ორშაბათს პარიზიდან საბჭოთა კავშირში გამოემგზავრება ამხ. კრასინი.

# მასწავლებელთა საკავშირო ყრილობა.

## საბჭოთა ხელისუფლების საგანმანათლებლო ამოცანები.

(ამხ. ლუნაჩარსკის მოხსენება.)

15 იანვარს დილის სხდომაზე ამხ. ლუნაჩარსკიმ გააკეთა მოხსენება „საბჭოთა ხელისუფლების საგანმანათლებლო ამოცანების შესახებ.“

„ჩვენმა ქვეყანამ-განაცხადა მან-პოლიტიკურად გაუსწრო ყველა ქვეყნებს, მაგრამ ეკონომიურ-კულტურულად ის ჩამორჩენილია. პირველი ჩვენი ფრონტი არის ქვეყნის ძლიერი თავდაცვის მოწყობა. მეორე ფრონტი ეს არის მეურნეობა, მესამე კი განათლების ფრონტი, რომელიც დაკავშირებულია პირველ და მეორე ფრონტთან ისე, რომ უკანასკნელთა განვითარება ამ მესამე ფრონტის (განათლების) გარეშე შეუძლებელია.

მასების პოლიტიკური მომზადება მთავარი პირობაა თავდაცვის. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ბურჟუაზიულ ტეხნიკას შეუძლია იმოქმედოს მასების მობილიზაციის მოუხდენლად. აქედან გამოდის ჩვენი მოწოდება საჰაერო ფლოტის და ქიმიის გაძლიერებისაკენ. ამისთვის საჭიროა უმაღლესი ტეხნიკა და პროფესიონალური განათლება.

საჭიროა აგრეთვე რეორგანიზაცია (ცვლილება) საშუალო და დაბალი სკოლების. მუშფაკები ეს სამხედრო ზომაა და ისინი გაუქმებულ იქნებიან. შემდეგ ამხ. ლუნაჩარსკი ეხება მატერიალურ მდგომარეობას და აღნიშნავს სახალხო განათლების მატერიალური ბაზის(სახსარი) გაძლიერებას.

# გერმანიის ახალგაზრდა პროლეტარიატის დიდი დემონსტრაცია.

## „გაათავისუფლეთ ჩვენი პოლიტპატიმრები“.

პოლიციამ აუკრძალა ბერლინის კომკავშირს დღესასწაულის გამართვა კარლ ლიბკნეხტისა და როზა—ლიუქსემბურგის ხსოვნის აღსანიშნავად. მაგრამ ბოლოს ნება დართეს მხოლოდ იმ პირობით, რომ დღესასწაულზე არ იქნებოდა გამოსვლები ებერტის წინააღმდეგ.

შესდგა დიდძალი დემონსტრაცია. მიჰქონდათ პლაკატები და ჩირაღდნები წარწერებით: „გაათავისუფლეთ 7.000 ჩვენი პოლიტპატიმრები!“

დემონსტრაცია გაემართა მოაბიტის ციხისაკენ. ციხესთან წარმოთქმულ იქნა სიტყვები ლიბკნეხტისა და ლიუქსემბურგის რევოლიუციონურ მოღვაწეობის შესახებ. სიტყვებში აღნიშნულ იქნა, რომ ახალგაზრდა პროლეტარიატი ფიცს სდებს იაროს ლიბკნეხტის, ლიუკსემბურგის, ლენინის და რუსეთის პროლეტარიატის გზით.

პოლიცია მივიდა მიტინგზე დაგვიანებით, როცა დემონსტრანტები უკვე დაიშალენ. მიტინგები და დემონსტრაციები გაიმართენ კიდევ სხვა ადგილებზე.

# წინ ლენინიზმის გზით.

გერმანიის კომპარტიის ცეკას პლენუმა მიმართა კომინტერნის აღმასკომს დეპეშით, სადაც ნათქვამია:

ლენინის გარდაცვალების წლის თავზე გერმანიის კომპარტიის ცეკა უცხადებს რკპ-ს ცეკას, რომ გერმანიის კომუნისტები მთელ ძალღონეს შესწირავენ ლენინის საქმის გაგრძელებასა და გამტკაცებას.

ბოლშევიკური რკინის ენერგიით უნდა დავიცვათ ჩვენ ლენინის ანდერძები პროლეტარიატის პირდაპირი და არა პირდაპირი მტრებისაგან.

მთელი ქვეყნის კომუნისტებმა მაღლა უნდა დაიჭირონ ლენინიზმის ჩირაღდანი.

გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს ლენინის გარდაცვალების წლის თავს საბრძოლო მოწოდებით: „წინ ლენინიზმისათვის“!

# „გლეხობა და ბურჟუაზიული ძალა-უფლება“.

ამხ. რიკოვის წერილი.



ამ სათაურით გაზ. „პრავდაში“ მოთავსებულია ამხ. რიკოვის წერილი, რომელშიაც ავტორი ამბობს:

ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე არიან ქვეყნები, რომელთა მოსახლეობის დიდ უმეტესობას გლეხობა შეადგენს.

ამიტომ ბალკანეთის ამბები დიდ სასარგებლო გაკვეთილებს იძლევა საბჭოთა კავშირის გლეხობისათვის.

რუმინეთის ამბები, რუმინეთის ბოიარების (თავადების) გაშმაგებული ბრძოლა იძლევიან სასოწარკვეთილების მაგალითს, სადაც კლასი, რომელმაც დაჰკარგა დადებითი მნიშვნელობა ქვეყნისთვის, იცავს თავის ხალხის მასების ექსპლოატაციის (ყვლეფის) უფლებას.

ძლიერი ლახვარი მიმართულია აქ მუშათა კლასის წინააღმდეგ, ვინაიდან მემამულეებმა კარგად იციან, რომ მუშათა რიგებიდან გლეხობა მიიღებს ხელმძღვანელობას ბრძოლაში.

რუმინეთის ციხეები სავსეა კომუნისტებით, რათა გლეხობას არ მისცენ საშუალება წელში გასწორების.

მაგრამ რუმინეთის მდგომარეობაზე უფრო საგულისხმოა ბულგარეთისა და სერბიის მდგომარეობა.

ამ ორივე ქვეყანაში დიდი ხანია მემამულეები აღარ არსებობენ. ამ ქვეყანაში დიდი ხანია მემამულეები—ოსმალები იყვნენ. ბულგარეთის და სერბიელი გლეხი ერთ და იმავე დროს გათავისუფლდა მემამულეების უღლისაგან.

ომის შემდეგ ძალა-უფლება ხელში აიღო გლეხთა პარტიამ სამბოლისკის მეთაურობით.

მაგრამ ის შეფიქრდა დაკავშირებოდა მუშათა კლასს ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამიტომ ქალაქში ბრძოლას აღარ დაურჩა დამხმარე ძალა.

ამის გამო მცირეოდენ თეთრი აფიცრებისა და მოხელეების შეთქმულებამ ჩამოაგდო სტამბოლისკი, სანამ მას მიეშველებოდა გლეხობა. მუშები და გლეხები მწარე მაგალითზე სწავლობენ დღეს კომუნისტების გაკვეთილს მუშებისა და გლეხების კავშირის შესახებ, რომელიც მთავარი პირობაა მშრომელთა გათავისუფლებისათვის ვაჭრების, ბანკირების, მოხელეებისა და გენერლების ძალმომრეობისაგან.

როგორც ბულგარეთში, აგრეთვე სამხრეთ-სლავიაშიც ძალაუფლება ხელში ეჭირა ერთმუჭა ვექილებს, მოხელეებსა და აფიცრებს. რადიჩის გლეხთა პარტიას ერთნაირად ემხრობა სამხრეთის მთელი გლეხობა.

რადიჩის შეცდომა იმაშია, რომ ის არ შეეცადა მთელი სამხრეთ-სლავიის გლეხობის მომზადებას და ვერ გააბა კავშირი სერბიის მუშებთან.

კვლავ რწმუნდებიან სამხრეთ-სლავიის გლეხები და მუშები ციხეებში, რომ მართალი იყვნენ კომუნისტები, როდესაც მათ წამოაყენეს მუშათა და გლეხთა კავშირის მოთხოვნილება, როგორც ერთად-ერთი გზა გათავისუფლებისათვის.

ბალკანეთის ქვეყნების გამოცდილებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი გლეხობისათვის. ეს გამოცდილება უმტკიცებს მათ არა მარტო იმას, რომ ბურჟუაზიის ბატონობისაგან გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ მუშათა და გლეხთა კავშირის გზით, არამედ იმასაც, რომ სოციალიზმის განვითარებას მოითხოვს არა მარტო მუშათა კლასის, არამედ გლეხობის ინტერესებიც თუ რომ უკანასკნელს სურს შრომის გამარჯვება კაპიტალზე.“

# საიდუმლო მოლაპარაკება.

ინგლისის ბანკის წარმომადგენლები, რომლებიც ეხლახან ჩავიდენ ამერიკაში ადგილობრივ ფინანსიურ წრეებთან მოსალაპარაკებლად, ბრუნდებიან უკანვე, ლონდონში.

მოლაპარაკება საიდუმლოდ სწარმოებდა და უეჭველია, ეხებოდა ინგლის—ამერიკის საფინანსო შეთანხმების პროგრამას: მოლაპარაკება, ცხადია, იმ მიზნით სწარმოებდა, რათა თავიდან აეშორებიათ კონკურენცია, რომელსაც გამოიწვევდა ამერიკის და ინგლისის დახმარება (ერთსა და იმავე დროს) ევროპაზე.

# საით უნდა იყოს მიმართული ჩვენი მუშაობა.

დღეს ჩვენი მუშაობის მთელი სიმძიმე უნდა იქნეს გადატანილი კულტურულ განმანათლებელ დარგში წითელ არმიელთა შორის პოლიტიკური ცოდნის გაღრმავებაში და მათში კლასიური თვითშეგნების ჩანერგვისაკენ.

ძველი და ახალი წითელი არმიელს შორის ბევრი განსხვავებაა. ძველმა წითელმა არმიელმა ცოტათ თუ ბევრათ შეითვისა პოლიტიკური ანბანი, მან ისწავლა წერა-კითხვა და რამოდენიმეთ მიიღო საერთო განვითარება. ეს მან დაამტკიცა უკანასკნელი მენშევიკურ ავანტიურის დროს. ახალწვეული კი სულ სხვაა. ის ჯერ კიდევ დაუმუშავებელია, მაზე კიდევ ბევრი ზრუნვაა საჭირო და აი აქ ისმება საკითხი: საით მივმართოდ ჩვენი მუშაობის უმთავრესი გეზი, პოლიტიკურ თუ სხვა განმანათლებელ მუშაობისაკენ.

უკანასკნელმა IV პარტკონფერენციამ მას მისცა გარკვეული გზა და მიუთითა, რომ უპირველეს ყოვლისა საჭიროა პოლიტიკური აღზრდა წითელი არმიელის, რომ მას კარგათ ქონდეს შეგნებული დღევანდელი მდგომარეობა, იცოდეს მისი მტერი და მოყვარე, იცოდეს თუ ვინ როგორ ექცევოდა და ექცევა მას, შეგნებული ქონდეს თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარება.

არც ერთ შეიარაღებული ძალისათვის დღემდის არ ყოფილა ის ფართე არე, რომელიც აქვს ჩვენს წითელ ლაშქარს, შეიგნოს და შეითვისოს პოლიტიკური ცხოვრება, მიიღოს სათანადო აღზრდა და გახდეს ნამდვილი შეგნებული რევოლიუციონერი — მეომარი. ძველი ჯარები მეფის ან მენშევიკების, გინდ დღევანდელი იმპერიალისტური ჯარები მოკლებულია ყოველივე იმას, რაც მას გახდის ნამდვილ მოქალაქეთ. ისინი იზრდებიან მონობაში, ვინაიდან ბურჟუაზიის სამეფო მხოლოდ მასზეა აგებული და მის ინტერესებს ავნებს არა თუ ჯარში, არამედ მუშა და გლეხებშიაც ასეთ ნიადაგზე ჯარის აღზრდის წესი.

ამიტომ ის მოკლებულია იმას, რაც აუცილებელ პირობას შეადგენს წითელი ჯარის აღზრდის საქმეში, ე. ი. პოლიტიკურ ცხოვრების გაგების.

ჩვენ კი ეს უნდა დავაყენოთ სათანადო ნიადაგზე, ჩვენ დღეს მას უნდა მივსცეთ პირველი ადგილი.

ეს კი არ ნიშნავს, რომ დანარჩენი კულტურული მუშაობა შეფერხდეს. სრულიადაც არა. ჩვენი მუშაობა უნდა იქნეს ამ მხრივ მიმართული ისეთივე ენერგიით, როგორიც საჭიროა, მაგრამ ყველა ეს უნდა გამომდინარეობდეს ამ მთავარ ამოცანიდან.

აქედან ცხადია, სხვა მუშაობა უნდა დაუმორჩილოთ პოლიტიკურ აღზრდას, რომ წითელ არმიელს კარგათ ქონდეს წარმოდგენილი არა თუ მარტო შიგნით—საბჭოთა რესპუბლიკებში ძალთა განწყობილება, არამედ საერთაშორისო მაშტაბითაც. მან უნდა იცოდეს, რომ კაპიტალი კვდება რომ მას ვერავინ ვერ მოაბრუნებს. ჩვენი—მუშების და გლეხების,—მისი წითელი ლაშქრის მოვალეობას შეადგენს უკანასკნელი ლახვარი ჩასცეს მას.

დღევანდელი ჩვენი ჯარი მუშებთან და გლეხებთან ერთად თვით ქმნიან თავიანთ პოლიტიკას, იმპერიალისტური ჯარები კი კარ ჩაკეტილები ყავთ და მას არა თუ პოლიტიკის კეთება, არამედ გაზეთის წაკითხვაც აკრძალული აქვს. ჩვენ კი მთელ ჩვენ ძალ-ღონეს მივმართავთ იქითკენ, რომ ჩვენი წითელი არმიელი იყვეს ღირსეული მოქალაქე საბჭოთა ხელისუფლების. ასეთი კი ის იქნება მაშინ, თუ მისი პოლიტიკური აღზრდა იქნება დაყენებული თავის სიმაღლეზე.

ამ საკითხს ჩვენმა კონფერენციამაც, ს. ს. კ. პოლიტმომუშავეთა თათბირმაც მიაქცია ყურადღება და ჩვენმა ამხანაგებმაც ადგილობრივ უნდა დაისახონ მიზნათ უპირველეს რიგში წითელი მოლაშქრის პოლიტიკური აღზრდა.

აი საით უნდა მივმართოთ ჩვენი მუშაობა.

ვ. სიხარულიძე.




## სოფელი არ გვავიწყდება.

მეთაურთა სკოლის კომუჯ-
ედის ბიუროს თავის მზრუნ-
ელობის ქვეშ ყავს აყვანილი
ამოდენიმე სოფელი. ბიურო
ველ მხრივად სცდილობს
ათა სათანადო დახმარება გა-
წიოს ამ სოფლებს და ამ მი-
ნით მან მიამაგრა მათზე ამხ.
ურსანტები, რომლებიც ყო-
ელ კვირაობით დაიარებიან
ოფლებში სათანადო ლიტე-
ატურით და აკეთებენ მოხსე-
ებებს სხვა და სხვა საჭირბო-
ოტო საკითხებზე.
სოფლისადმი ინტერესი თან-
თან იზრდება ჩვენს კურსან-
ებს შორის და ყველას სურს
ავისი წვლილი შეიტანოს
ლეხობის გათვითცნობიერ-ების
საქმეში.
10 იანვარს ერთ-ერთ საშე-
ფო სოფელში ტეზერში (გო-
რის მაზრა) გაემგზავრა კურ-
სანტი ამხ. ფინთიხიძე. ამხა-
ნაგს დავალებული ქონდა გა-
კეთებია მოხსენება ტერ-ნაწი-
ლების შესახებ, რაც ჩინებუ-
ლად შეუსრულებია. მოხსენე-
ბას, ამხანაგის გადმოცემით,
მთელი სოფელი დასწრებია.
„ხშირად მოდით, მოგვინახუ-
ლეთ ნუ დაგვივიწყებთ“—აი
როგორი სიტყვებით მიუმარ-
თავთ ადგილობრივ გლეხებს
ამხანაგისთვის.
საჭიროა მატარებლებზე
უფასოთ მიმოსვლის საქმე იქ-
ნეს მოგვარებული, რომ მარ-
თლა შევსძლოთ მტკიცე ურ-
თი-ერთობა ვიქონიოთ სოფელ-
თან.

სამხკორი ლ. ჭელიძე.

## ჩვენს სამხკორებს შორის.

პირველი ლეგიონის სამხკორების კრება.

14 იანვარს, ლეგიონის პა-
სუხისმგებელ სამხკორის თავმ-
ჯდომარეობით შესდგა ლეგი-
ონის ყველა ასეულების პარტ-
კორებისა და სამხკორების კრე-
ბა, რომელსაც დაესწრო 24
ამხ.
დღის წესრიგში დასმული
იყო შემდეგი საკითხები.
1. სამხკორების მოვალეობა.
2. სამხკორთა კონფერენციის
შესახებ და
3. მიმდინარე საკითხები.
კორესპონდენტების მოვა-
ლეობის შესახებ მოხსენება გა
აკეთა ლეგ. სამხკორმა ამხ. იმ-
ნაიშვილმა.
მომხსენებელმა მოუწოდა ამ-
ხანაგებს, რათა თითეული სამხ-
კორი და პარტკორი ენერგიუ-
ლად მოეკიდოს თავის საქმეს.
მათ არავისი არ უნდა ეშინო-
დეს, მხოლოდ ერთი რამ მუ-
დამ უნდა ახსოვდეს: აღნიშ-
ნოს ყველაფერი მიუდგომლად
და მისი წერილით არ შეი-
რყეს სამხედრო დისციპლინა.
ყოველთვის და ყველგან (ლე-
გიონის მაშტაბით იქნება ის
თუ ასეულებში და გუნდებში)
თითეული სამხკორი უნდა ადე-
ვნებდეს თვალყურს არა სასუ-
რველ მოვლენებს და ამნაირ
შემთხვევაში, თუნდაც ის შეა-
დგენდეს მცირე რამეს, მაგრამ
ის ღებულობს სისტემატიურ
ხასიათს, აუცილებლად გამო-
ქვეყნებული უნდა იქნეს გაზე-
თის ფურცლებზე. გარდა ამისა
ამხ. მომხსენებელმა აღნიშნა,
რომ თითეული კორესპონდენ-
ტი უნდა უკვირდებოდეს მის
მიერ დაწერილ წერილს გაზე-
თის ფურცლებზე, თუ რა ნაი-
რი შესწორებებია შეტანილი
და მომავალში უნდა ეცადოს
აღარ დაუშვას წარსულის შეც-
დომები.
ამხ. იმნაიშვილმა მოუწოდა
სამხკორებს, რომ ყურადღებით
მოეპყრან ლეგიონის კედლის
გაზეთებს, სწერონ თვითონაც
და გასწიონ არმიელებში სათა-
ნადო აგიტაცია, რომ მათაც
სწერონ.
ამით ჩვენ ხელს შეუწყობთ
წითელ არმიელების პრესსით
დაინტერესებას.
ჩვენი კედლის გაზეთები-ამ-
ბობს ამხანაგი—ემსახურება ჩვე-
ნი აღზრდის საქმეს და საჭი-
როა დიდი ყურადღებით მო-
ვეპყრად მათ. მომხსენებელმა
მოუწოდა კრებას მიაწოდონ
წერილები „კომუნისტს“ და
„მუშას“, რითაც გაეცნობიან
მუშები ჩვენს ყოფა-ცხოვრებას.
ამხ. იმნაიშვილი შეეხო აგრე-
თვე სხვა და სხვა ტეხნიკურ
საკითხებს.
იმნაიშვილის შემდეგ დამა-
ტებით ილაპარაკა ამხ. ბაახიამ,
რომელმაც მოუწოდა ამხანაგე-
ბს ენერგიული მუშაობისაკენ.

სამხკორი მირ. ოდიშარია.

## მეოთხე საგაუბიცო ბატარეის ცხოვრებიდან.

მეოთხე საგაუბიცო ბატა-
რეის წითელ არმიელები სის-
ტემატიურად ესწრებიან ბატა-
რეაში წარმოებულ მეცადი-
ნეობას.
მეთაურები გულმოდგინეთ
და სისტემატიურად აწარმოე-
ბენ არმიელებთან საუბრებს.
ერთი წუთი დრო არ იკარგე-
ბა. გვაქვს სამკითხველო, სა-
დაც მოთავსებულია ლენინის
და სამხედრო კუთხეები.
ლენინის კუთხე ძლიერ მიმ-
ზიდველად არის მოწყობილი.
სამკითხველო საკმაოდ მდიდა-
რი გვაქვს. ყოველგვარი ჟურ-
ნალ გაზეთები და წიგნები მო-
იპოვება. ჩვენი არმიელები
მოვნიან თუ არა თავისუფალ
დროს იმ წუთშივე სამკითხვე-
ლოსაკენ მიეშურებიან.
კითხულობენ გაზეთებს, წი-
გნებს და იქვე სწარმოებს მათ
შორის აზრთა გაცვლა-გამოც-
ვლა.
ბატარეიაში დაარსებული
გვაქვს აგრეთვე სხვა და სხვა
ხასიათის წრეები. განსაკუთრე-
ბულ ინტერესს იწვევს ამხანა-
გებში აგრონომიული წრე,
რადგან ჩვენი არმიელების უმე-
ტესი ნაწილი სოფლებიდან
არიან მოსული.
აქამდე ბატარეიას არ ქო-
ნია კლუბი და ამის გამო არ
ყოფილა ჩვენთან დრამატიული
წრე.
ამ ჟამად ეს ნაკლიც გადა
ლახული იქნა. ბატარეიამ შეს-
ძლო კლუბის დაარსება. ჩაე-
ყარა საფუძველი დრამატიულ
წრესაც და ამ მოკლე ხანში
ჩვენი არმიელები შესძლებენ
გამოვიდენ სცენაზე რევოლი-
უციონური პიესებით, რაც სა-
გრძნობლად გამოაცოცხლებს
ბატარეიას.

წ. არმ. გრ. ბარათაშვილი.

## მეოთხე ტერ-ლეგიონის ცხოვრებიდან.

ლეგიონი ძლიერ ცუდ მდგო-
მარეობაში იმყოფება შეშის
მხრივ. აქ ძლიერი სიცივეებია.
ლეგიონს შეშა არ მოეპოება
საკმაო. ასეულებს მცირე რაო-
დენობით ეძლევათ. ყაზარმებს
ვერ ვათბობთ და ამის გამო
თითქმის შეუძლებელი ხდება
მეცადინეობა.
ასეთივე მდგომარეობაშია ლე-
გიონის სამკითხველო, კლუბი
და სხვა.
ყველა ამ დაწესებულებებში
შეფერხებულია მუშაობა. გან-
საკუთრებით ცუდ მდგომარეო-
ბაშია ქვენონში მოთავსებული
ავადმყოფები.
იქ ძლიერ ცივა, ამას თან
ერთვის საკვებისა და წამლების
უქონლობა.
საჭიროა ყურადღება და
ლეგიონის უზრუნველყოფა
ყველაფრით.
აბანოში კარგა ხანია აღარ
გაუგზავნიათ არმიელები; საცვ-
ლები თავის დროზე არ გვი-
რიგდება. ორი კვირაა, რაც
გასარეცხად წაიღეს საცვლები
და ჯერაც არ დაუბრუნე-
ბიათ.
ლეგიონის ყაზარმას აქვს
ცემენტის იატაკი.
ადგილობრივი სამაზრო აღ-
მასკომი შეგვპირდა ხის იატა-
კის დაგებას და კიდევაც დაიწ-
ყეს, მაგრამ ჩქარა მიანებეს თა-
ვი და ისევ ცივი იატაკის ამა-
რა დავრჩით ისედაც ცივ ყა-
ზარმებში.
წინად კარგი სადილები გვე-
ძლეოდა. ამ ჟამად კი კვირაში
ორჯერ კეთდება ლობიო და
სხვა დღეებში კი „ბორში“
მარტო კომბოსტოს ამარა.
მეთაურებს არა აქვთ საკუ-
თარი სასადილო და არც სარ-
გებლობენ კრედიტით, რაც
ძლიერ ცუდ მდგომარეობაში
აყენებს მათ.
ყაზარმებში არ გვაქვს ელე-
ქტრონით განათება და ამის
გაკეთება კი ადვილი საქმეა.
წითელ არმიელებს არა
გვაქვს ცალკე სასადილო ოთა-
ხი. ვსადილობთ და ვახშმობთ
იქ, სადაც გვძინავს, რაც დიდ
უსუფთაობასავრცელებს.
კედლის გაზეთები ყოველ
კვირეულად გამოდიოდა წი-
ნად, მაგრამ ეს ერთი თვეა
რაც შეწყდა მათი გამოცემა.
გამოვიდა მხოლოდ საახალ-
წლო ნომერი.
ლენინის კუთხეებს მეტი
ყურადღება უნდა მიექცეს.
საჭიროა მათი უფრო კარ-
გად მოწყობა.
მოგვაქციეთ ყურადღება.

სამხკორი წით. არმ.
როსტომაშვილი.

## პატარა ფელეტონი.

(ყურმოკრული საუბარი)

თბილისის ერთ სულხიან სა-
ამოს თავისი სარდაფის წინ
დგას მიკიტანი სედრაქა და და-
ვრემილი თავისთვის ბუტბუ-
ებს: „ვაჰ! გაგონილა მეორედ
ოსვლა დაიწყო რაღა. ქვეყა-
ა გაიყინა, ვაჭრობა აღარ არის,
ლუპებით ხალხო, სულ კო-
უნისტების ბრალია ქრისტეს
ჰემ რაღა!
— სედრაქჯან! გამარჯობა—,
ო არ გეწყინა გუშინ რამე?
—ვაა! გაგიმარჯოს არტო-
ააან! როგორ არა განა შენ
იყავ რომ მცემე, ხა! ხა! ხა!
მართლა ხუმრობა იქით იყ-
ს არტოჯან, გაიგე ახალი ამ-
ავი გითხრა რაღა, ყური და-
უგდე:
იცი, ეხლა ათი დღე ისეთი
ინვები უნდა იყოს, ისეთი,
ომა სულ თბილისი უნდა გა-
ყინოსო, მერე კიდევ ათი დღე
სითი სიცხე უნდა იყოს, ისეთი,
ომ სულ თბილისი უნდა გა-
დაიწვასო.
— ვა! ვა! ვა! სედრაქჯან
კარგი რაღა ნუ მეტყვი, ეს
იმ ურჯულო კომუნისტების
ბრალია, რაღა.
— ვა! გაგონილა, არტოჯან,
ღმერთი არ არისო, ქრისტე
არ არისო—მაშ ვინ არის მით-
ხარ რაღა, ქვეყნის დასასრული
მოდის არტოჯან. ეხლა დაი-
ცადე კიდევ გითხრა და!
ამბობენ რომა ბათომში ზღვა
რომ არის, ის სწორედ თბილი-
სში უნდა ჩამოვიდეს. ხომ იცი
ბათომის ზღვა კანკასსიაზე 5 ჯერ
მეტია. ვახ! ვახ! ვახ! გაგონი-
ლა კაცო, ქვეყანა იღუპება
რაღა, გაიგე? ბათომი უნდა აი-
წიოსო, თბილისი კიდევ უნდა
დაიწიოსო.
ვააააა! სედრაქჯან, რა გით-
ხრა, ერთი კარგი აზრი მომივი-
და: ქვეყანა ხომ მაინც იღუპე-
ბა; მოდი რაღა, სანამ ჩვენც
დავიღუპებოდეთ, ემანდ ღვინო-
ები რომ გიწყვია ჩავლიოთ რა-
ღა! ხომ მაინც ვიღუპებით და!..

ზაურბეგ.

## ამბები სოფლებიდან.

### საქონლის საექიმოთ.

გორის აღმასკომმა დაადგი-
ნა შტატს გარეშე დამატებით
მიიღოს კიდევ ერთი საქონ-
ლის ფერშალი, რომელიც სი-
სტემატიურათ ივლის სოფლებ-
ში საქონლის საექიმოთ.

### ხილის შემოსავლიდან.

გორის აღმასკომმა მიავლი-
ნა მოსკოვში თავის წარმო-
მადგენელი, რომელსაც დაევა-
ლა იქ განაღდებულ ხილის
საფასურით შეიძინოს სასოფ-
ლო-სამეურნეო იარაღები.

### სამიკიტნოების დახურვა.

ზესტაფონის აღმასკომმა და-
ადგინა გააუქმოს სადგურის
პირდაპირ ყველა კერძო სამი-
კიტნოები და მათ მაგიერ გახ-
სნას კოოპერატიული სასადი-
ლოები.

### თეატრი ოზურგეთში.

ოზურგეთის თეატრში სის-
ტემატიურათ იმართება წარ-
მოდგენები. ხალხი ყოველთვის
ბლომათ დადის.

### ხილის შესყიდვა.

გორის მეხილეთა კოოპერა-
ტიულმა საზოგადოებამ „წი-
თელმა ქართლმა“ დაურიგა გლე-
ხებს 2 ათასი მანეთი შესას-
ყიდ ხილის ანგარიშში.

### ავტომობილებით მიმოს-
ვლა.

სოხუმსა და ახალსენაკს შო-
რის ავტომობილებით მიმოს-
ვლა უკვე სწარმოებს. სოხუ-
მიდან ახალსენაკამდე ავტომო-
ბილი ჩამოდის 10 საათში.

### მეფუტკრეთა ამხანაგობა.

სოფ. აცანაში (გურია) შეს-
დგა მეფუტკრეთა ამხანაგობა
„შრომის სიტკბო“.

### სკოლა საცხენისში.

სოფელ საცხენისში (გარე
კახეთი) უკვე დამზადებულია
ადგილობრივი სკოლისათვის
საალმ შენებლო მასალა.

## ჩვენი სამხედრო და წითელი კუთხე.

პირველი ლეგიონის 4- ხე ასეულის წითელი არმიელები
განურჩევლად ეროვნებისა, ყველა წერა-კითხვის მცოდნებათ
ითვლებიან. ასეულის წითელ კუთხეს ეს გარემოება დიდ და-
ხმარებას უწევს. ამ ცოტა ხანში კუთხე თვალსაჩინოდ გაიზა-
რდა და გალამაზდა, კუთხეში დადგმულია ლენინის, შ. რუ-
სთაველის და ე. ნინოშვილის ძეგლები. ყოველ დღე სისტემა-
ტიურად მოგვდის ჟურნალ-გაზეთები. აქვე არის სხვა და სხვა
გასართობები, მარცხნივ კუთხეში მოეწყო სამხედრო კუთხე.
აქ საკმაო პრაქტიკულ ცოდნას იძენენ ამხანაგები. კუთხის ეს
განყოფილება სავსეა ყოველ გვარი დაშლილი და დაწყობილი
სამხედრო იარაღებით. აქვე გამოხატულია დამიზნების წერტი-
ლი და გასროლის დროს გულის მიმართულება დამიზნების
წერტილისაკენ. ხელოვნურად მოწყობილია და წარმოდგენი-
ლია ბრძოლის ველ მიდამო, სანგრებით და მტრის შესაფერ-
ხებლად გაკეთებული მავთულის ხლართებით. სამხედრო კუ-
თხე ძლიერ აინტერესებს არმიელებს და გარკვეულ წარმოდგე-
ნას აძლევს მათ სამხედრო საქმეზე ბრძოლის დროს.

სამხკორი ივ. ბარელაძე.

## ამხ. პუგაჩოვი მეორე ლეგიონში.

ამას წინად მეორე ლეგიონს ესტუმრა კავკ. წითელ-
დროშოვან არმიის მთავარ სარდალი ამხ. პუგაჩოვი. ლეგიო-
ნში მას შეეგებენ სამხკომი, ლეგთავი და სხვა.

ლეგიონის მეცხრე ასეულში ამ დროს მეცადინეობა მი-
დიოდა. ამხ. პუგაჩოვმა მოულოდნელად შამოაღო ასეულის
ყაზარმის კარები და მიესალმა წითელ არმიელებს. ის ოც
წუთზე მეტს შეჩერდა ჩვენს ასეულში და დიდი გულდასმით
უგდებდა ყურს თუ როგორ უპასუხებდენ არმიელები სხვა
და სხვა კითხვებზე თავიანთ მასწავლებლებს.

ახალწვეული არმიელების სითამამემ და მომზადებამ გან-
ცვიფრებაში მოიყვანა ამხ. სარდალი. მან მადლობა გადაუხა-
და ამხანაგებს და წავიდა სხვა ასეულების დასათვალიერებ-
ლად. საერთოდ სარდალმა ძლიერ კარგი შთაბეჭდილება და-
სტოვა არმიელებზე და ხშირად გაიგონებთ მათგან ასეთ სი-
ტყვებს: ნეტა კიდევ ჩამოვიდოდეს ამხ. პუგაჩოვი, უფრო მო-
მზადებული დავხვდეთო“.

ზ. წყნორელი.

## საჭიროა ლიტერატურა სამხედრო საქმეში.

ჩვენს ნაწილებში მართალია
დიდი ყურადღება ექცევა სამ-
ხედრო საქმის შესწავლას, მაგ-
რამ არ იქნება ინტერეს მოკ-
ლებული თუ ნაწილების ბიბ-
ლიოთეკები შეიძენენ სამხედ-
რო ლიტერატურას და საშვა-
ლება ექნება როგორც მეთაუ-
რთა ისე ნაწილის მთელ შე-
მადგენლობას ისარგებლოს მით
და შეავსოს თავისი ცოდნა. ამ
ჟამად აუარება სამხედრო ჟურ-
ნალები და წიგნები გამოდიან
რუსულ ენაზე. ლეგიონების სა-
მკითხველოებში ეს ლიტერა-
ტურა ნაკლებად მოიპოება.
ასეა ჩვენს მესამე ლეგიონშიც.
ბიბლიოთეკები უმთავრესად პო-
ლიტიკური ხასიათის ლიტერა-
ტურით არის ავსებული; მარ-
თალია ჯარის პოლიტიკურად
განვითარებას დიდი ყურადღე-
ბა უნდა ექცეოდეს, მაგრამ არა
ნაკლებ მნიშვნელოვანია სამ-
ხედრო საქმე.
საჭიროა ლეგიონის სამკით-
ხველოები შეიძენდენ აღნიშ-
ნული ხასიათის ლიტერატუ-
რას.

ა. ჭკადუა.

## ამხ. ამხ. სამხკორებო!

სისტემატიურად მოგვაწოდეთ წერილები თქვენი ნაწილის ცხოვრებიდან.

# პარტიული ცხოვრება

## ახალგაზრდა ლენინელთა შორის.

**ზიზღი პროლეტარიატის ბელადების მკვლელებს.**

15 იანვარს პირველ საკავშირო ასეულში შესდგა ახალ ლენინურ კომკავშირის ჯგუფის მორიგი კრება. დაესწრენ კომკავშირელები და უპარტიო წითელ არმიელები.

კრება მოწვეულ იყო გერმანიის პროლეტარიატის ბელადების კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლიუქსემბურგის მკვლელობის ექვსი წლის თავის გამო.

სიტყვით გამოვიდა ასეულის სამხკომი ამხ. ჭელიძე, რომელმაც გააცნო ამხანაგებს ამ დიდი ბელადების ცხოვრება და მოღვაწეობა. ამხანაგმა სხვათაშორის, აღნიშნა რომ—მშრომელი ხალხის—პროლეტარიატის მოჭირნახულე და კომპარტიის ამ დიდი ბელადების სახელები ერთხელ კიდევ გვავალებენ, რომ ერთგული დარაჯები ვიყოთ იმ იდეების და საქმის, რომლებსაც მათ შესწირეს თავი. კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, სადაც აღნიშნულია, რომ საკავშირო ასეულის კომკავშირის ჯგუფი და უპარტიო წითელ არმიელები ზიზღს და თავის გულის წყრომას უთვლიან მათ მკვლელებს—პროლეტარიატის ჯალათებს. კრება ფიცს იძლევა უკანასკნელ სისხლისწვეთამდე დაიცვას მათი იდეები. გაუმარჯოს ლენინიზმს, ძირს გამყიდველი სოციალისტები და მათი შავი საქმიანობა.

სამხკორი შალაშინი.

## პარტ-კომისიის უფლებების შეკვეცის შესახებ.

წარსულ წლის ნოემბრის რიცხვებში რუსეთის კომუნისტურ პარტიის ცეკას დადგენილებით პარტ-კომისიის უფლებების ზოგიერთი მუხლები, რომელნიც ეხებოდენ პარტიაში მიღებას და გარიცხვას იცვლებოდა. ოქმები ამ საკითხების შესახებ უნდა დაედასტურებია ადგილობრივ სამოქალაქო პარტიულ ორგანიზაციებს. (იხილეთ № 7132, 17 ნოემბერი 1924 წ. დებულება რ. კ. პ. ცეკას პარაგრაფი 6—12) ამ დებულების ცხოვრებაში გატარება, ცოტა არ იყოს, უხერხული შეიქნა ჯარის პირობებთან შეფარდებით, რაც ერთგვარ ელფერს უკარგავდა პარტ-კომისიას. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია წარსულ წელში მოსკოვში ჩატარებულმა პოლიტიკურ მომუშავეთა თათბირმა და აღძრა შუამდგომლობა ცეკას წინაშე, რათა ხელმეორეთ გადაეშინჯათ ეს საკითხი. ამას გარდა ეს საკითხი გაირჩა თითქმის ყველა არსებულ პარტ-კომისიებში, სადაც ყველა იმ აზრს გამოთქვამდა, რომ ხელ მეორეთ ყოფილიყო გადაშინჯული პარტ-კომისიის დებულების მე 6-12 პარაგრაფები. ეს კითხვა ჩვენს მე-4-ხე პარტ-კონფერენციაზე იქნა განხილული, სადაც სათანადო შუამდგომლობა იქნა აღძრული ამ ორი მუხლის შეცვლის შესახებ.

ეს ჩვენი შუამდგომლობა, რომელიც აღძრული იყო რ. კ. პ. ცეკას წინაშე, უკვე გადაუშინჯავს ცეკას პოლიტ-ბიუროს და გადაუწყვეტია დასტოვოს პარტ-კომისიების უფლებები წინეთ არსებულ ფორმებში. ასე რომ, ის დაბრკოლებები, რომელნიც შეიძლება შეგვხვედროდა მუშაობის პროცესში ახალი ინსტრუქციის შესრულების დროს, ეს უკვე აცილებულია, რადგან როგორც ზევით ვსთქვით, პარტ-კომისიას დაუტოვენ ის უფლებები, რომლითაც სარგებლობდა ის წინეთ.

ს. ლომიძე.

## სამნეო დარგის საკითხებზე.

**საზიდავების დატვირთაზე და მოვლა-შენახვაზე.**

სამხედრო საბარგულებით ჩვენ ჯერ კიდევ სავსებით არ ვართ უზრუნველყოფილნი. ჯარის ნაწილებს აქვთ ორცხენიანი საზიდავები 1884 წ. ნიმუშისა და ერთ ცხენიანი სამნეო ორთვალები 1890 წლ. ნიმუშისა.

მკვდარი ტვირთი 1884 წ. ნიმუშის საზიდავებისა (ე. ი. ცარიელი საზიდავის წონა) უდრის 25 ფ. და 32 გ.

ომიანობის დროს ამნაირ საზიდავზე ედება უფრო საჭირო საგნები, 2 ცხენის საკვები სარჩო 2 დღისა, რაც თვით მხედრით და მისი საკუთარი ბარგით იწონავს 11ფ., მაშასადამე მკვდარი წონა ორცხენიან საზიდავისა ნავარაუდევია 36 ფ. 22 გ. სასარგებლო ტვირთი ერთი საზიდავისა (სურსათ—სანოვაგე და ნივთეულობა)—დაშვებულია 30 ფ. ამნაირად საერთო წონა მკვდარი და სასარგებლო ტვირთისა თვითეულ ხსენებულ საზიდავზედ არ უნდა აღემატებოდეს—66 ნახ. ფ ე. ი. ცარიელ ვარგის საზიდავზედ შეიძლება დაედოს არა უმეტეს—40 ფ., რაშიც შედის თვით მხედრის წონაც.

საზიდავის თვისების და გზის მდგომარეობის მიხედვით ტვირთის რაოდენობა უნდა შემცირებულ იქნას.

ერთ ცხენიანი ორთვალის წონა (1890 წლ. ნიმუშისა) უდრის 12 ნახ. ფ. საერთო წონა მკვდარი და სასარგებლო ტვირთისა—34 ფ., მაშასადამე ცარიელ ვარგის ორთვალას დაედება 22 ფ. ტვირთი, რაშიც შედის თვით მხედრის წონაც.

მოძრაობა სამხედრო საზიდავებისა ნება დართულია მხოლოდ ნაბიჯით და მარტო კარგს და ვარგის გზაზედ—ნელი ჩორთით.

სულ მუდამ უნდა თვალი ედევნოს საზიდავის ყველა ნაწილების სიმრთელეს. საზიდავი თავის დროზე უნდა გასუფთავებულ იქნას თვლისგან, ტალახისგან და მტვრისგან და თავის დროზევე—გაქონილი და შეღებილი. შენახვის დროს უნდა დაიდგას მშრალ ალაგას და თვლების ქვეშ დაეწყოს საფეხურები.

საზოგადოდ ყველა ერთეულის უფროსებს, სამნეო ნაწილის გამგეებს და წითელ არმიელებს უნდა ახსოვდეთ, რომ საზიდავი დიდ ღირებულებას წარმოადგენს ჯარის ნაწილში და ამიტომ ყოველ ნაირად დაცულ უნდა იქნას საზიდავის მთლიანობა და უვნებლობა.

ს. შაკუნი.

# ახალი ამბები.

— **კლუბი წითელ არმიელთათვის.** გორის აღმასკომმა მეოთხე ლეგიონს გადასცა ყოფ. სამხედრო ტაძარი, სადაც მოეწყობა კლუბი წითელ არმიელთათვის.

— **საბჭოთა არჩევნების ჩასატარებლად.** შინ. საქმეთა კომისარიატთან არსებულმა ცენტრ. საარჩევნო კომისიამ მაზრებში დაგზავნა თავის რწმუნებულები საბჭოთა არჩევნების სახელმძღვანელოთ.

— **„ლენინის საათი სკოლებში".** გამოვიდა წიგნი „ლენინის საათი სკოლებში" ქართულ ენაზე. წიგნში მოთავსებულია ბავშთა ნაწარმოებნი ლენინზე.

— **პენსიების გადიდება.** დამზღვევმა კასამ გაადიდა დაზღვეულთათვის პენსიები პირველი კატეგორია 18 მან. მეორე—12 და მესამე 9 მანეთი.

— **ტყავის დამზადება.** უმაღ. სამ. საბჭოს ტყავის ქარხანამ დეკემბრის განმავლობაში დაამზადა 66.940 მანეთის ტყავეულობა.

— **„წითელი აჭარისტანი".** აჭარის უმაღ. ეკონ. საბჭომ დაადგინა გამოსცეს საპოლიტიკო-სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი „წითელი აჭარისტანი".

— **ქოხ-სამკითხველოები.** ტფილისის აღმასკომის ცნობით წარსულ წელს მოქმედებდა ტფილისის მაზრაში 67 ქოხ-სამკითხველო, ქალაქის აღმასკომის ხარჯზე.

— **ბავშთა ტანისამოსი.** ტფ. აღმასკომმა გადასდო 45.768 მანეთი საბავშო სახლების ბავშთა ტანისამოსის შესაძენათ.

— **ტრამვაის რონოდების ასაშენებლათ.** ტფ. ტრამვაიმ მიიღო 3 ვაგონი სატყეო საამშენებლო მასალა, ტრამვაის რონოდებისათვის.

## ხელოვნება.

— **წით. არმ. ცენტ. კლუბში.** ორშაბათს, 19 იანვარს, წითელ არმიელთა ცენტრ. კლუბში გაიმართება სანიტ-განათლების მორიგი წარმოდგენა წითელ არმიელთა და მუშებისათვის. წაკითხულ იქნება ლექცია და დაიდგმება პიესა „ბატონები".

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე

## კლუბის და ბიბლიოთეკის მომუშავეების საყურადღებოთ.

ლენინის კვირეულის ჩატარების გამო სემინარების მეცადინეობა გადადებულია 25 იანვრამდე.

ხელმძღვანელი ტ. წვენიევი.

შაბათს, 17 იანვარს, დილის 9 საათზე, წითელ არმიის და ფლოტის სახლში შედგება ქართულ დივიზიის ნაწილებთან ერთად გარნიზონის სამეურნეო კომისიების

# თათბირი

**დღის წესრიგი:**

1) მოხსენებები ადგილებიდან 2) სამეურნეო კომისიის ამოცანები ნაწილის საერთო აღმშენებლობასთან დაკავშირებით.

ყველა კომისიების წარმომადგენელთა დასწრება სავალდებულოა ნაწილის სამხკომის პასუხისმგებლობის ქვეშ.

ქ. მს. დ. პოლიტ-განყოფილების უფ. კვირიკაძე.
პოლიტსეკრეტარის უფროსი დვორიანოვი.

# სამხედრო საქმე

## შეისწავლეთ ბრძანების გაცემა.

ჟურნალ „ომი და ზავი"-ში მოთავსებულია ფრიად მნიშვნელოვანი წერილი ბრძანების შესახებ, რომელიც გადმობეჭდილია გერმანულ ჯარის კაცის გაზეთიდან. ზედმეტი არ იქნება მისი გაცნობა.

ბრძანების გაცემა. ეს ისეთი ხელოვნებაა, რომლის შესწავლა და შეთვისება შეიძლება დიდი ხნის გამოცდილებით. სათანადოთ, ნათლათ და გარკვეულ გაცემულ ბრძანებიდან შეიძლება წარმატებითი შესრულება მიიღოთ ცუდათ მომზადებულ ნაწილებიდანაც კი.

გაურკვეველი და გაუგებარი ბრძანება შეასუსტებს წინააღმდეგობის ძალას და შეტევის სურვილს კარგათ მომზადებულ ნაწილებისას. აქედან ცხადია თუ რა მნიშვნელობა აქვს ბრძანების გაცემას და რა პასუხისმგებლობას იღებს თავის თავზე მბრძანებელი. ამიტომ თვითეული უფროსი ვალდებულია შეისწავლოს ბრძანების ხელოვნება. სათანადოთ გაცემული ბრძანება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნილებას.

**1. ბრძანება უნდა იყოს ყველასათვის გასაგები.**

წინადადების მარტივობა და სათანადოთ დაწყობილი ფრაზები უნდა ახასიათებდეს ბრძანებას. შეუჩვეველი გამოთქმანი დაუშვებელია. ყველაზე მნიშვნელოვანი უნდა ბრძანების თავშივე დაისვას, რომ შემსრულებელმა თავიდანვე შესძლოს საერთო შინაარსი ბრძანებისა.

ერთი მეორისაგან დამოკიდებულ ბრძანების ერთ ბრძანებაში მოქცევა, საგულისხმო და მნიშვნელოვან წინადადებისა და სიტყვების გახაზვა, ადვილებს კითხვასა და მის გაგებას.

ამისდა მიხედვით ბრძანებაში უნდა იყოს მოთავსებული შემდეგი:

1. ცნობები მტრისა და მეზობელ ნაწილების შესახებ.
2. უფროსის განზრახვა.
3. ძიება.
4. თვითეული ჯგუფის ამოცანები.
5. უფროსის ადგილი.

მბრძანებელს უფლება არა აქვს მიიღოს მხედველობაში და იფიქროს რომ შემსრულებელმა იცის ყველა ის, რაც მას გადაუცია პირადათ ლაპარაკის დროს. აზრების გამოთქმა იმდენათ ნათელი უნდა იყოს, რომ მისი სხვანაირათ გაგება შეუძლებელი იყოს. განსაკუთრებით ნათლათ უნდა იყოს გამოთქმული უფროსის განზრახვა.

მაგალითად, ნათლად უნდა იქმნას გამოთქმული თუ როგორ მოიქცეს ჯარმა, აწარმოვოს შეტევითი ბრძოლა თუ მოგერიებითი, იყოს მუდამ ბრძოლის მოლოდინში, მზათ თუ ისარგებლოს დასვენებით. ბრძოლის მოლოდინში მისთვის მზათ ყოფნის მდგომარეობაში ნაჩვენები უნდა იყოს მისი მიზანი: შეტევა თუ მოგერიება.

საშინელი დანაშაულია უფროსის, როდესაც ის სცემს განზრახ გაუგებარ ბრძანებას, იმ მიზნით რომ მისი შესრულების პასუხისმგებლობა თავიდან აიცილოს და შემსრულებელზე გადაიტანოს.

**2. ბრძანება უნდა იყოს მოკლე.**

ბრძანებაში უნდა ერიდოთ გრძელ წინადადებებს და განმეორებას. დიდ ერთეულებისადმი ბრძანებაში უნდა იყოს აღნიშნული მხოლოდ ის, რაც შეეხება იმ ნაწილებს შეთანხმებულ მოქმედებისათვის, ვინაიდან ეს აუცილებელია უფროსის მიზნების შესრულებისათვის.

ყველა დეტალები, რომლებიც შეეხება ცალკე ერთეულებს, უნდა მოთავსდეს „ცალკე განკარგულებებში" ასეთებს ეკუთვნის ტელეფონის ქსელის აგება, ძიება, შევსების მოძრაობა, მაშველის შესახებ და სხვა ისეთები, რომლებიც არ აინტერესებს ყველა ნაწილებს.

ამიტომ ბრძანებაში აღნიშნული უნდა იყოს მხოლოდ მნიშვნელოვანი და მთავარი, მაგრამ ამავე დროს უნდა ერიდოთ ზედმეტ შემოკლებასაც. ბრძანების მოკლე და დამახასიათებელ ფრაზებში გაცემა ხშირათ გაუგებრობას იწვევს.

**3. ბრძანება უნდა იყოს სრული.**

ბრძანებაში უნდა იყოს აღნიშნული ყველა ის, რისაც აღნიშნვა შეიძლება არსებულ მდგომარეობაში.

რომ ბრძანებაში ყველაფერი იქნას აღნიშნული, ასეთი უნდა დგებოდეს წინასწარ გამომუშავებულ გეგმით (სქემით).

ბრძანება ასე უნდა იყოს შედგენილი ხსენებული სქემის მიხედვით, რომ ხელქვეით შეეძლოს მათი გამოთქმა არსებულ მდგომარეობის განსაკუთრებულ თვისებების პირობებში.

მხოლოდ ბრძანების უკანასკნელად დამუშავების შემდეგ შეიძლება დამზადებულ სქემაზე გაგნება, რომ დარწმუნებული იყო არაფერი გამოგრჩა.

**4. ბრძანება უნდა იყოს აშენებული სწორ ცნობებზე.**

მდგომარეობის შესწავლა და შეგნება აუცილებელია. იმ შემთხვევაში, როდესაც რამეში ეჭვი იბადება, წინასწარ უნდა იქმნას შეკრებილი ცნობები, სანამ ბრძანება გაიცემოდეს. ხშირათ ბრძანების შემსრულებელი უხერხულ მდგომარეობაში ვარდება ბრძანების შეუსრულებლობით, მხოლოდ მიტომ, რომ ბრძანების გამცემს არ შეუგნია და არ გაუთვალისწინებია შექმნილი მდგომარეობა, ერთეულის მიერ წარმოებული მუშაობა და არსებული გზების მდგომარეობა.

მ. გ.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. ტირაჟი 1100.